საქსტატი
www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

# 2015
წელი



31.10.2016
www.geostat.ge

31.10.2016

**საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის ძირითადი შედეგები**
(2015 წელი)

2015 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული 59 ეკონომიკური სუბიექტი, მათგან 83,0% ქალაქ თბილისშია განთავსებული, 8,5% - აჭარაში, 5,1% - იმერეთში, ხოლო დანარჩენი ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში:

**საქართველოში მოქმედი საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოები რეგიონების მიხედვით 2015 წელს**




გზავნილების მიწოდებას საქართველოში 2015 წელს ახორციელებდა საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების 164 სერვის ცენტრი, რომლებშიც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 3,7 ათასი კაცი შეადგინა. აქედან 832 კურიერი, ფოსტალიონი და ფელდეგერია.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით 2015 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლებმა 41,5 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 63,0%-ს შეადგენს, ხოლო 37,0% ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 43,9% წერილობითი კორესპოდენციების მიწოდებიდან არის მიღებული, ხოლო 56,1% - ამანათების მიწოდებიდან:

**საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა (2015 წელი)**




საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2015 წლის განმავლობაში გაგზავილია 1056,2 ათასი წერილობითი კორესპოდენცია და 1071.0 ათასი ამანათი[1]. საერთაშორისო გზავნილი ამანათების 55,1%-ს შეადგენს, ხოლო წერილობითი კორესპოდენციის -11,1%-ს.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საკონტაქტო პირები:**

**თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge**

**მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge**

[1] *გზავნილების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ შეიცავს შპს „საქართველოს ფოსტა"-ს მონაცემებს, რადგანაც ამ ეტაპზე მათ მიერ არ ხორციელდება გზავნილების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა შესაბამისი ფორმატით.*